შიდა და ქვემო ქართლის ტბები და წყალსაცავები

ა(ა)იპ "საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია"

7/1/2015

Georgian Ecotourism Assosiation

Ecotourism.ge

თბილისი 2015

ა(ა)იპ ”საქართველოს ეკოტურიზმის ასციაცია”

შიდა და ქვემო ქართლის ტბები და წყალსაცავები

შინაარსი:

ბატეთის ტბა ----------3

კოდისწყაროს ტბა----------4

ყელეთის ტბა ----------5

ნადარბაზევის ტბა ----------6

კუმისის ტბა ---------- -7

ჯანდარის ტბა ----------8

ბარეთის ტბა ----------9

სარკინეთის ტბები ----------10

ბურატინოს ტბა ----------11

გოხნარის ტბა ----------12

წყალშავის ტბა ----------13

ბედენის ტბა ----------14

წალკის წყალსაცავი ----------15

ალგეთის წყალსაცავი ----------16

მარაბდის წყალსაცავი ----------17

ლიპის წყალსაცავი ----------18

პანტიანის წყალსაცავი ----------19

იაყუბლოს წყასლაცავი - ----------20

შესავალი

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, საქართველოს ტურისტული რესურსების კვლევაა, რადგან მიგვაჩნია, რომ ტურიზმის განვითარების საწინდარს სწორედ რესურსების მაღალ დონეზე ცოდნა წარმოადგენს. ამ მხრივ მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, რადგან ტურისტულ ობიექტებზე კვალიფიციური ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში ან საერთოდ არ არსებობს, ან ძალზედ მოძველებულია და დღევანდელ რეალობას სრულიად არ შეესაბამება.

ჩვენი ორგანიზაციის კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სახის ინფორმაციის სრულყოფას ემსახურება. მოგეხსენებათ მსგავსი კვლევები მნიშვნელოვან დროით და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, ამიტომ სრულიად საქართველოს მასშტაბით ამ მასალის მომზადება საკმაოდ შრომატევადი საქმეა, რადგან იგი მოითხოვს ექსპედიციებს თითოეული ობიექტის აღსაწერად, შემდგომ კამერალურ სამუშაოებს და სხვა აქტივობებს.

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია თავდაპირველად გთავზობთ ინფორმაციას შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებულ ტბებსა და წყალსაცავებზე. ქვემოთ მოცემულ ტექსტში აღწერილია რეგიონში მდებარე ყველა მნიშვნელოვანი ტბა და წყალსაცავი, მათი მდებარეობა ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატების მითითებით; მოცემულია ინფორმაცია ობიექტამდე მისასვლელი გზის შესახებ; მითითებულია ობიექტების პარამატრები და სხვა საინტერესო მასალები; ამასთან, ყოველ ობიექტს თან ერთვის უახლესი ფოტო მასალა.

ეს არის ჩვენი პირველი მოკრძალებული მცდელობა, როგორმე აღმოვფხვრათ ის ინფორმაციული დეფიციტი, რომელიც არსებობს საქრთველოს საინტერესო ტურისტულ ობიექტებთან დაკავშირებით. ეტაპობრივად შემოგთავაზებთ მასალებს სხვა კატეგორიის ტურისტული ობიექტების შესახებაც.

ბატეთის ტბა

მდებარეობა: ბატეთის ტბა შიდა ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტში, ნასოფლარ ბატეთის მიდამოებში მდებარეობს (კოორდინატები: N 42^0 00’867’ E 043^0 39’808). ტბა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1313 მ სიმაღლეზეა განლაგებული.

მისასვლელი გზა: ტბა ქ. ქარელიდან 35 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფ. გვერძინეთი 9 კმ-ით. ქ. ქარელიდან ბატეთის ტბისკენ საავტომობილო გზა მდინარე ძამას ხეობას მიუყვება. გზის პირველი მონაკვეთი (ყინწვისის მონასტრის ასახვევამდე) მოასფალტებული და კეთილმოწყობილია, რის შემდეგაც ხეობის აღმა ტბის გადასახვევამდე სასოფლო გრუნტის გზაზე მიდის. ნასოფლარ ბატეთთან ტბაზე მისასვლელად უნდა ავუხვიოთ სამხრეთ-დასავლეთით, აქ გზა ძალზედ დაზიანებულ სატყეო გრუნტს მიუყვება, სადაც ასვლა მხოლოდ მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებით არის შესაძლებელი.

პარამეტრები: ბატეთის ტბა დიდი ფართობით არ გამოირჩევა (სარკის ფართობი 0,02 კმ^2, სიგრძე 190 მ, სიგანე 150 მ.). ტბის მაქსიმალური სიღრმე 12 მ-ს აღწევს.

ზოგადი დახასიათება: ბატეთის ტბა მეწყრული წარმოშობისაა. იგი გარშემორტყმულია წიწვნარ-წიფლნარი ტყით შემოსილი ფერდობებით. წყალი გამჭვირვალეა და მტკნარი. არსებული ლანდშაფტისა და იმის გამო, რომ ტბას ვრცელი ნაპირი ფაქტიურად არ გააჩნია, დამთვალიერებლისთვის საუკეთესო ვარიანტი ჩრდილოეთ ნაპირიდან მისვლაა. ტბა დეკემბრიდან მარტამდე ყინულით არის დაფარული. მის მოსანახულებლად საუკეთესო პერიოდი შემოდგომის დასაწყისია. წითელი წიგნის მიხედვით ტბაში ბინადრობს კალმახიც. ბატეთის ტბა შიდა ქართლის რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული ბუნებრივი ღირსშესანიშნაობაა, ტბა მდინარე ძამას ხეობაში მდებარეობს, რომელიც ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით საკმაოდ დატვირთულია, ამიტომ შესაძლებელია აქ სხვდასხვა სახის თემატიკის და კატეგორიის ტურსტული მარშრუტების მოწყობა. ბატეთის ტბასთან დაკავშირებით მიმდებარე

სოფლების მოსახლეობა სხვადასხვა ამბავს (ლეგენდას) ჰყვება. ერთი ვერსიით ტბაში შესვლა საერთოდ არ შეიძლება, იქ მობინადრე გრანდიოზული არსების გამო, რის დასტურადაც ის ფაქტი მოჰყავთ, რომ ტბის მიდამოებში მოჭრილი უზარმაზარი ხეები ხშირად უნახავთ ტბის შუაგულში შეტანილი. მეორე ვერსიით კი, ტბაში მეორე მსოფლიო ომის დროს თვითმფრინავი ჩავარდა, რომელიც დღემდე ტბის ფსკერზეა ჩაძირული.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს წითელი წიგნი, თბილისი 1982; საველე კვლევის მასალები 2014.

კოდისწყაროს (ღორინამკლის) ტბა

მდებარეობა: კოდისწყაროს ტბა შიდა ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროს სამხრეთ–დასავლეთით მდებარეობს (კოორდინატები: N4156.736 E43 34.352). ტბა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ზღვის დონიდან 1004 მ სიმაღლეზეა განლაგებული.

მისასვლელი გზა: ტბა ქ. ხაშურიდან 6,4 კმ–ით არის დაშორებული, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტიდან სოფ. კოდისწყაროდან 1 კმ–ით. ქ. ხაშურიდან კოდისწყაროს ტბისკენ მიმავალ გზაზე საჭიროა მდ. მტკვარზე არსებული ვიწრო ხიდის გადაკვეთა, რისი მეშვეობითაც მოვხვდებით სოფელ კოდისწყაროში, სიადანაც ტბისკენ მიუყვება სატყეო გრუნტის გზა. გზის აღნიშნული მონაკვეთის გავლა სასურველია მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებით.

პარამეტრები: ტბის სარკის ფართობი 0,02 კმ^2, სიგრძე 237 მ, სიგანე 97 მ.) ტბის სიღრმე გაზაფხულობით 2-3 მეტრს აღწევს. ზაფხულში კი დონე ძლიერ კლებულობს.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

ზოგადი დახასიათება: კოდისწყაროს ტბა, რომელიც მდებარეობს ღორინამკლის შტოქედის ძირში, საზრდოობს წვიმის, ნადნობი თოვლის და მიწისქვეშა წყლებით. ტბაში ბინადრობს სხვდასხვა სახეობის თევზები. ტბა ამჟამად კერძო საკუთრებაშია და მასზე თევზაობა ფასიანია. ტბის მიდამოებში შესაძლებელია საპიკნიკე და საკემპინგე ადგილის მოწყობა.
ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014.

ყელეთის ტბა

მდებარეობა: ყელეთის ტბა შიდა ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ყელეთში, სოფლის სამხრეთ–აღმოსავლეთით მდებარეობს (კოორდინატები:N41 58.448 E43 45.679). ტბა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ზღვის დონიდან 898 მ სიმაღლეზეა განლაგებული.
მისასვლელი გზა: ტბა ქ. ხაშურიდან 16 კმ–ით არის დაშორებული, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტიდან სოფ. დიდ ყელეთდან 1 კმ–ით. ტბასთან მოსახვედრად საჭიროა თბილისი–ხაშურის დამაკავშირებელი მთავარი საავტომობილო გზიდან გადავუხვიოთ სამხრეთით სოფელ დიდი ყელეთისკენ, სოფლამდე მიდის სასოფლო გრუნტის გზა, ხოლო სოფლიდან უშუალოდ ტბამდე ვიწრო ორღობეებისა და სამეურნეო ნაკვეთების გავლით მივდივართ. გზის აღნიშნული მონაკვეთის გავლა სასურველია მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებით.
პარამეტრები: ტბის სარკის ფართობი 0,01 კმ^2, სიგრძე 115 მ, სიგანე 78 მ. ტბის სიღრმე გაზაფხულობით 2-3 მეტრს აღწევს.

ზოგადი დახასიათება: ტბა დიდი მასშტაბებით არ გამოირჩევა, იგი ძალზედ მცირეა, თუმცა თავის ფართობთან შედარებთ მნიშვნელოვნად ღრმა. ადგილორბივების თქმით ტბაში ბინადრობს თევზის ისეთი სახეობები, როგორებიც არის: კარჩხანა და კობრი. ყელეთის ტბა საკმაოდ ლამაზ ადგილას, ტყის პირას მდებარეობს. ტბაში შესაძლებელია თევზაობა და ტბასთან ახლოსვე დაბანაკება.
ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასლაები 2014.

ნადარბაზევის ტბა

მდებარეობა: ნადარბაზევის ტბა შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადარბაზევის მიმდებარედ მდებარეობს (კოორდინატები: N42 00.092 E 44 17.110). ტბა კვერნაქების ქედის ჩრდილოეთ კალთაზე ზღვის დონიდან 856 მ სიმაღლეზეა განლაგებული.
მისასვლელი გზა: ნადარბაზევის ტბასთან მოსახვედრად საჭიროა გავუყვეთ თბილისი-სენაკი-ლესელიძის დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალს და სოფელ ნადარბაზევთან გადავუხვიოთ სამხრეთით. მაგისტრალიდან ტბამდე მიდის საშუალო დახრილობის აღმართი, სადაც ნალექიან ამინდში სასურველია მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებით ასვვლა.
პარამეტრები: ტბის სარკის ფართობი 0,6 კმ^2, სიგრძე 1400 მ, სიგანე 570 მ.) უდიდესი სიღრმე 1,8 მ. ტბაში წყლის საერთო მოცულობა 3 მლნ. მ^3.
ზოგადი დახასიათება: ნადარბაზევის ტბის ადგილას დღეს ხელოვნური წყალსაცავია, რომელიც ამავე ტერიტორიაზე არსბეული ნადარბაზევის ტბის ადგილას მოეწყო. წყალსაცავისთვის წყლის ამოტუმბვა ხორციელდება მდინარე მტკვრიდან. ნადარბაზევის ტბის უმთავრესი დაიშნულება მისი სარწყავად გამოყენებაა. ტბაში ასევე ბინადრობს სხვადსხვა სახის თევზი. ტბის სანაპიროზე თავისი ფიზიკურ-გეოგაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე ხშირად ქრის ქარი.
ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1984.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

კუმისის ტბა

მდებარეობა: კუმისის ტბა ქვემო ქართლში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის მიდამოებში, ზღვის დონიდან 470 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები: N 41 35 032 E 44 50 311).

მისასვლელი გზა: კუმისის ტბასთან მოხვედრა შესაძლებელია თბილისი–მარნეულის დამაკავშირბელი საავტომობილო გზიდან, საიდანაც სოფელ კუმისთან უნდა ჩავუხვიოთ აღმოსავლეთით და სამეურნეო ნაკვეთებზე გამავალი გრუნტის გზით მივიდეთ კუმისის ტბის ნაპირთან.

პარამეტრები: კუმისის ტბის სარკის ფართობი 4,5 კმ^2-ია, საშუალო სიღრმე დაახლოებით 1 მ, ხოლო მაქსიმალური 4 მ–მდე.

ზოგადი დახასიათება: კუმისის ტბა წარსულში გაუმდინარე მლაშე ტბა იყო, რომელიც მცირე ფართობით ხასიათდებოდა. მას შემდეგ რაც ტბაში მდინარე მტკვრის წყალი შეიყვანეს, იგი გამტკნარდა და ტბის ფართობიც საგრძნობლად გაიზარდა. ტბაში სხდასხვა სახეობის თევზი ბინადრობს, მათ შორის: ხრამული, სქელშუბლა, ამური და სხვ. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ წყალსატევის ფსკერზე არსებული ტალახი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. ტბის სიახლოვე დედაქალაქთან და ტბასთან მისასვლელი გზის სიმარტივე ხელს უწყობს თევზაოების მოყვარულთ მრავალად ესტუმრონ კუმისის ტბას.

ინფორმაციის წყარო: ხარაძე კ., საქართველოს ბუნების ძეგლები, თბ .2014; აფხაზავა ი., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6. თბ., 1983;

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

ჯანდარის ტბა

მდებარეობა: ჯანდარის ტბა ქვემო ქართლში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარის მიდამოებში, საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვართან, ზღვის დონიდან 293 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები: N 41⁰26.812’ E 045⁰12.565’).

მისასვლელი გზა: ტბა გარდაბნიდან 14,5 კმ-ით არის დაშორებული. ჯანდარის ტბასთან მოხვედრა შესაძლებელია რუსთავი-ვახტანგისის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მეშვეობით. გზა უმთავრესად მოასფალტებულია, მხოლოდ ბოლო მონაკვეთში, უშუალოდ ტბის ნაპირზე მისასვლელად გვიწევს გრუნტიან გზაზე გადასვლა.

პარამეტრები: ტბის ზედაპირის ფართობი 11,4 კმ^2 -ია, სიღრმე ტბის საშუალო დონის დროს 7 მეტრს არ აღემატება.

ზოგადი დახასათება: ჯანდარის ტბა თბილისთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს, იგი დღემდე არის თევზაობის და ნადირობის მოყვარულთათვის ერთ–ერთი გამორჩეული ადგილი. ტბა გამოიყენება სარწყავად. გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულში, როცა ტბის წყალი სარწყავად გამოიყენება, ფართობთან ერთად იკლებს ტბის სიღრმეც. შემოდგომა - ზამთარში წყალი სარწყავად საჭირო აღარ არის და ფართობიც იზრდება. ტბა მკაცრი ზამთრის პირობებში იყინება. ივლის-აგვისტოში მასში წყლის მოცულობა ძალზედ მცირდება. უკანასკნელ წლებში ტბა მღვრიეა და ხავსმოკიდებული. ეს კი დიდ საფრთხეს უქმნის იქთიოფაუნასა და იქ მობინადრე ფრინველებს.

ინფორმაციის წყარო: ხარაძე კ., საქართველოს ბუნების ძეგლები, თბ 2014; აფხაზავა ი., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6. თბ.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

ბარეთის ტბა

მდებარეობა: ბარეთის ტბა ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1619 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები: N41 39.495 E44 10.427).

მისასვლელი გზა: ტბასთან მისასვლელად საჭიროა თბილისი-წალკა-ახალქალაქის მაგისტრალიდან სოფელ ბარეთთან გადავუხვიოთ ჩრდილოეთით, საიდანაც ტბისკენ რამდენიმე გრუნტის გზა მიდის.

პარამეტრები: ტბის ზედაპირის ფართობი 1,65 კმ^2-ია, სიგრძე 1850 მ, ხოლო სიგანე 1448 მ, ტბის საშუალო სიღრმე 1 მ-მდეა.

ზოგადი დახასიათება: ბარეთის იგივე ბაშქოის ტბა საზრდოობს ატმოსფერული ნალექებით. მას მუდმივი შენაკადი არ გააჩნია. ტბის ნაპირები ამჟამად საკმაოდ დაჭაობებულია, რის ერთ-ერთ მიზეზად ტბის სამხრეთ-დასავლეთი ნაპირისკენ გაყვანილია არხი შეიძლება დავასახელოთ, რომელმაც მნიშვნელოვნად დასწია ტბის დონე და შეამცირა მისი ზედაპირის ფართობი. ტბა მაქსიმალურ დონეს აღწევს გაზაფხულზე და მინიმალურს ზაფხულის ბოლოს. ბარეთის ტბა გეგმარებითი დაცული ტერიტორიაა.

ინფორმაციის წყარო: აფხაზავა ი., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 207, თბ., 1977 წელი. საველე კვლევის მასალები 2014.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

სარკინეთის ტბები

მდებარეობა: სარკინეთის ტბები მდებარეობს ქვემო ქართლში, დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. სარკინეთის ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის დონიდან 1600 მ სიმაღლეზე (კოორდინატები: N41 30.978 E44 07.036).

მისასვლელი გზა: ტბებთან მისასვლელად საჭიროა გავუყვეთ დმანისი–გომარარეთი–ბედიანის შიდა სახელმწიფოებრივ გრუნტის გზას, სოფელ სარკინეთიდან კი, უშუალოდ ტბებისკენ დაზიანებული გრუნტის გზა მიდის, სადაც ნალექიან ამინდში გადაადგილება მაღალი გამავლობის სტარანსპორტო საშუალებით არის სასურველი.

ზოგადი დახასიათება: სოფელ სარკინეთის მიმდებარედ, ქედის თხემზე მდებარეობს რამოდენიმე ბუნებრივი ტბა, რომელთა უმრავლესობა ამჟამად დაჭაობებულია და სანაპირო ზოლი განიცდის ევთროფიკაციის პროცესს. ტბები ზემოდან დაჰყურებს სოფ. დიდ გომარეთსა და სოფ. სარკინეთს, საიდანაც ულამაზესი ხედი იშლება მიმდებარე გარემოზე. ადგილობრივთა თქმით ტბებში ბინადრობს თევზების სხვდასხვა სახეობა.

ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014.

ბურატინოს ტბა

მდებარება: ბურატინოს ტბა ქვემო ქართლში, დაბა მანგლისთან ახლოს, ზღვის დონიდან 1083 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები: N41 41.708 E44 20.866).

მისასვლელი გზა: ტბასთან მისასვლელად უნდა გავუყვეთ 3,5 კმ სიგრძის სასოფლო გრუმტის გზას.

პარამეტრები: ტბის ზედაპიის ფართობი 0,05 კმ^2-ია, სიგრძე 142 მ, ხოლო სიგანე 54 მ.

ზოგადი დახასიათება: ბურატინოს ტბა საკმაოდ ლამაზ ლანდშაფტში მდებარეობს. სახელწოდება ტბას მისი მეპატრონის ზედმეტსახელიდან ეწოდა და ხალხშიც ამ სახელით არის ცნობილი. ტბაზე შესაძლებელია თევზაობა, ზაფხულის პერიოდში კი ნავით გასეირნებაც. ტბა საკმაოდ პოპულარულია მანგლისში დამსვენებელთა შორის. მას ზაფხულის ცხელ დღეებში მრავალი სტუმარი ჰყავს.

ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

გოხნარის ტბა

მდებარეობა: გოხნარის ტბა ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ გოხნარის მიმდებარედ, ზღვის დონიდან 1716 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები: N41 39.983 E44 16.090).

მისასვლელი გზა: ტბასთან მისასვლელად საჭიროა თბილისი-წალკა-ახალქალაქის მაგისტრალიდან სოფელ გოხნარის მიმდებარედ გადავუხვიოთ ჩრდილოეთით და გავუყვეთ გრუნტის გზას, რომელიც საძოვრებზე გადის. გზის აღნიშნული მონაკვეთის გავლა სასურველია მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებით.

პარამეტრები: გოხნარის ტბის ზედაპირის ფართობი 4,6 კმ^2-ია, მაქსიმალური სიგრძე 1540 მ, ხოლო სიგანე 466 მ-ია.

ზოგადი დახასიათება: გოხნარის ტბა ვულკანურ რელიეფზე მდებარეობს. ტბა საზრდოობს ატმოსფერული ნალექებით. მუდმივი შენაკადი ტბას არ გააჩნია. მაქსიმალურ დონეს აღწევს გაზაფხულზე, ხოლო მინიმალურს ზაფხულის ბოლოს. ჰიფსომეტრიული მდებარეობის და კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე ტბა როგორც წესი ზამთრის დასაწყისიდან მარტამდე იყინება.

ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

წყალშავის ტბა

მდებარეობა: წყალშავის ტბა ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, სოფელ ივანოვკასთან, ზღვის დონიდან 1633 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები N41 36.069 E44 18.999).

მისასვლელი გზა: ტბასთან მისასვლელად საჭიროა თეთრიწყარო-წალკის დამაკავშირებელი საავტომობილო გზიდან გადავუხვიოთ სამხრეთით. გზის ბოლო მონაკვეთი გრუნტის გზას მიუყვება, წვიმიან ამინდში სასურველია მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება.

პარამეტრები: წყალშავის ტბის ზედაპირის ფართობი 0,5 კმ^2-ია, მაქსიმალური სიგრძე 500 მ-მდეა, ხოლო სიგანე 400 მ.

ზოგადი დახასიათება: წყალშავის ტბა ბედენის ვულკანურ პლატოზეა განლაგებული, ტბა ძირითადად საზრდოობს ატმოსფერული ნალექებით. ტბის ჰიფსომეტრიული მდებარეობის და შესაბამისი კლიმატური პირობების გამო დეკემბრიდან მარტამდე ხშირად ტბა გაყინლულია.

ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

ბედენის ტბა

მდებარეობა: ბედენის ტბა ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ივანოვკას მიდამოებში ზღვის დონიდან 1633 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები N41 36.069 E44 18.999).

მისასვლელი გზა: ბედენის ტბასთან მისასვლელად საჭიროა თეთრიწყარო-წალკის დამაკაშირებელი გზიდან, სოფელ ივანოვკას სიახლოვეს გადავუხვიოთ ჩრდილოეთით. გზის ბოლო მონაკვეთი გრუნტის გზას მიუყვება, მისი გავლა სასურველია მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებით.

პარამეტრები: ბედენის ტბის ზედაპირის ფართობი 1 კმ^2-ია, მაქსიმალური სიგრძე 600 მ-მდეა, ხოლო სიგანე 200 მ.

ზოგადი დახასიათება: ბედენის ტბა ბედენის ვულკანურ პლატოზეა განლაგებული, მდინარე კლდეისიწყლის ხეობის მახლობლად. ძირითადად საზრდოობს ატმოსფერული ნალექებით. ზღვის დონიდან მაღლა მდებარეობის და შესაბამისი კლიმატური პირობების გამო დეკემბრიდან მარტამდე ხშირად ტბა გაყინლულია.

ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

წალკის წყალსაცავი

მდებარეობა: წალკის წყალსაცავი ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1485 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები:N41 37.217 E44 02.829).

მისასვლელი გზა: წყალსაცავთან მისავლა შესაძლებელია სხვდასხვა მხრიდან, მათ შორის თბილისი-წალკის დამაკავშირებელი საავტომობილო გზიდან.

პარამეტრები: წალკის წყალსაცავი ზედაპირის ფართობით საქართველოს უდიდესი წყალსაცავია - 33,7 კმ², მაქსიმალური სიგრძე 11კმ-მდეა, ხოლო სიგანე 3,7 კმ, წყლის მოცულობა 312 მლნ. მ³. მაქსიმალური სიღრმე 25 მ, საშუალო სიღრმე 9 მ.

ზოგადი დახასიათება: წყალსაცავი შეიქმნა ენერგეტიკული მიზნებისთვის 1946 წელს. იგი საზრდოობს ხრამისა და სხვა პატარა მდინარეთა წყლით, აგრეთვე მიწისქვეშა, თოვლისა და წვიმის წყლით. შექმნილია ბეტონის კაშხალით ლავურ სერში გამომუშავებულ ვიწრო და ღრმა ხეობაში. წყალსცავში სეზონების მიხედვით წყლის დონე განსხვავებულია,

დაბალი დონე აქვს თებერვალ-მარტში. წყლის დაგროვება იწყება აპრილში და გრძელდება ივლისამდე, შემდეგ ხდება წყლის ხარჯვა. დონე ინტენსიურად იკლებს ნოემბრიდან, როდესაც ჰესები მთელი სიმძლავრით მუშაობს. წყლის დონის რყევის საშუალო წლიური ამპლიტუდა 891 სმ-ია. წყალსაცავზე გაედინება მდინარე ქცია-ხრამი. დეკემბრიდან მარტის ბოლომდე წყალსაცავი სხვდასხვა მასშტაბით იყინება. ყინულოვანი მოვლენების საშუალო ხანგრძლივობა 82 დღეა. ყინულსაფრის სისქე თებერვალში ზოგჯერ 80 სმ აღწევს. წყალსაცავში ბინადრობს სხვადსხვა სახეობის თევზი.

ინფორმაციის წყარო: აფხაზავა ი., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, გვ. 289, თბ., 1987 წელი; საქართველოს გეოგრაფია, წიგნი I, გვ. 52, თბ., 2005.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

მარაბდის წყალსაცავი

მდებარეობა: მარაბდის წყალსაცავი ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ მარაბდასთან ახლოს, ზღვის დონიდან 554 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატებიN41 32.852 E44 45.073).

მისასვლელი გზა: წყალსაცავამდე მისასვლელად საჭიროა გავუყვეთ სოფელ მარაბდისკენ მიმავალ საავტომობილო გზას. წყალსაცავი სოფლის სიახლოვეს მდებარეობს.

პარამეტრები: წყალსაცავის ფართობი დაახლოებით 0,2 კმ^2-ია. მაქსიმალური სიგრძე 700 მ-მდე, ხოლო სიგანე 300 მ.

ზოგადი დახასიათება: მარაბდის წყალსაცავი ქ. თეთრიწყაროდან 30 კმ-ით არის დაშორებული. წყალსაცავი შეიქმნა სამელიორაციო დანიშნულებით. მისი მთავარი მკვებავი მდინარე ალგეთია. მარაბდის წყალსაცავში ბინადრობს თევზების სხვდასხვა სახეობა.

ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014.

ალგეთის წყალსაცავი

მდებარეობა: ალგეთის წყალსაცავი ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ტბისის სიახლოვეს, ზღვის დონიდან 756 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები: N41 35.325 E44 30.637).

მისასვლელი გზა: წყალსაცავთან მისვლა შესაძლებელია თბილისი-თეთრიწყაროს დამაკაშირებელი გზის მეშვეობით, სადაც სოფელ ტბისთან საჭიროა გადავუხვევთ სამხრეთით.

პარამეტრები: ალგეთის წყალსაცავის ზედაპირის ფართობი 2,3 კმ^2, სიგრძე 3,7 კმ, სიგანე 0,4 კმ. წყალსაცავის წყლის საერთო მოცულობა უდრის 65 მლნ. მ^3.

ზოგადი დახასიათება: წყალსაცავის მთავარი მკვებავი მდინარეა ალგეთი. წყალსაცავი შეიქმნა სამელიორაციო დანიშნულებით. წყლით ამარაგებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სხვდასხვა სოფლებს. წყალსაცავის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა სამარხებსა და ნამოსახლარებსაც მიაკვლიეს, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ ამ ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში დასახლება იყო. წყალსაცავში ბინადრობს თევზის სხვადასხვა სახეობა.

ინფორმაციის წყარო: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია; საველე კვლევის მასალები 2014.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

ლიპის წყალსაცავი

მდებარეობა: ლიპის წყალსაცავი მდებარეობს ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიპის მიდამოებში, ზღვის დონიდან 1096 მ სიმაღლეზე (კოორდინატები:N41 31.387 E44 22.688).

მისასველი გზა: წყალსაცავთან მისასვლელად საჭიროა მარნეული–თეთრიწყარო–წალკის შიდა სახელმწიფოებრივი გზიდან გადავუხვიოთ სამხრეთით, სოფელ ლიპისკენ. გზის ბოლო მონაკვეთი გრუნტის არის, რის გამოც ნალექიან ამინდში სასურველია მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება.

პარამეტრები: წყალსაცავის ფართობი დაახლოებით 2 კმ^2 ტოლია. მისი სიგრძე 800 მეტრი, ხოლო სიგანე 300 მ-მდეა. მაქსიმალური სიღმე 5,5 მეტრი.

ზოგადი დახასიათება: ლიპის წყალსაცავის მკვებავი მთავარი მდინარე ლელანკაა. იგი ასევე იკვებება ატმოსფერული ნალექებითა და მიწისქვეშა წყლებით. ლიპის წყალსაცავი 2010 წელს მთლიანად დააშრეს, შემდგომ პერიოდში საპატრიარქოს წყალობით წყალსაცავი კვლავ აღდგა. ადგილობრივების თქმით ბოლო პერიოდში წყალსაცავში გაუშვეს სარკისებრი კობრი, ამური, წყალსაცავში ასევე ბინადრობს ხრამულიც. აქ შესაძლებელია თევზაობა.

ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014.

პანტიანის წყალსაცავი

მდებარეობა: პანტიანის წყალსაცავი ქვემო ქართლში, დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ პანტიანის, სამხრეთით, ზღვის დონიდან 1360 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები: N41 18.446 E44 09.312).

მისასვლელი გზა: წყალსაცავთან მისასვლელად საჭიროა ქალაქ დმანისიდან გავუყვეთ ჩრდილო–დასავლეთით სოფელ პანტიანისკენ მიმავალ ასფალტირებულ გზას.

პარამეტრები: პანტიანის წყალსაცავის ზედაპირის ფართობი 4,3 კმ^2-ია, მაქსიმალური სიგრძე 1300 მ-მდეა, ხოლო სიგანე 600 მ.

ზოგადი დახასიათება: ხელოვნური წყალსაცავი ლამაზი ლანდშაფტით ხასიათდება, იგი მრავალწლოვანი წიწვოვანი ხეებით არის გარშემორტყმული. წყალსაცავი იკვებება მდინარე მაშავერათი. წყალსაცავი გამოიყენება სამელიორაციო დანიშნულებით. იგი პოპულარულია თევზაობის მოყვარულთათვის. აღსანიშნავია, რომ წყალსაცავის გარშემო საბჭოთა პერიოდში მოწყობილი იყო რეკრეაციული ზონა, აქ დღემდეა შემორჩენილი მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული უამრავი მონუმენტი, რაც მიდამოს თავისებურ ტურისტულად საინტერესო ელფერს სძენს. უარყოფით მხარედ შეილება ჩაითვალოს წყალსაცავის მიმდებარე გარემოს საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურება.

ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014.

იაყუბლოს წყალსაცავი

მდებარეობა: იაყუბლოს წყალსაცავი ქვემო ქართლში, დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ იაყუბლოს მიმდებარედ ზღვის დონიდან 1358 მ სიმაღლეზე მდებარეობს (კოორდინატები: N41 20.386 E44 09.804).

მისასვლელი გზა: იაყუბლოს წყალსაცავთან მისასვლელად საჭიროა ქალაქ დმანისიდან გავუყვეთ სოფელ კამარლოსკენ მიმვალ საავტომობილო გზას, სოფელ იაყუბლოსთან გადავუხვევთ სამხრეთით და გავუყვეთ ტბასთან მიმავალ გრუნტის გზას.

პარამეტრები: აიყუბლოს წყალსაცავის ზედაპირის ფართობი 1,35 კმ^2-ია, მაქსიმალური სიგრძე 2000 მ-მდეა, ხოლო სიგანე 1000 მ.

ზოგადი დახასიათება: იაყუბლოს წყალსაცავის უმთავრესი დანიშნულება მისი სამელიორაციოდ გამოყენებაა. წყალსაცავის მთავარ მკვებავ მდინარეს მაშავერა წარმოადგენს. წყალსაცავში წყლის საერთო მოცულობა 11 ათასი მ^3-ია. ამჟამად წყალში რამდენიმე სახეობის თევზი ბინადრობს.

ინფორმაციის წყარო: საველე კვლევის მასალები 2014.

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1987 წელი;

2. საქართველოს გეოგრაფია, წიგნი I, თბ., 2005.

3. ხარაძე კ., საქართველოს ბუნების ძეგლები, თბ 2014;

4. საქართველოს წითელი წიგნი, თბილისი 1982;

პუბლიკაცია მომზადებულია ა(ა)იპ ”საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის” მიერ

© ყველა უფლება დაცულია

ფოტოს ავტორები: ლ. გიგაური
ი.ხარგელია
ი. ტაბატაძე